



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 414 2020 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-6 მუხლში:

1. პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი:

„7¹. სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცედურის/აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უშუალოდ ან ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული უწყებების დახმარებით განხორციელებული შემოწმების შედეგად სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 7 ივლისიდან.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია